ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 185

"9" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №74-ის მიმდებარედ არსებული (ს/კ №01.10.13.028.049) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს "ჯეოპიცასთვის" (ს/კ №404467055) იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 27 მაისის №21.10.619 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №74-ის მიმდებარედ არსებული (ს/კ №01.10.13.028.049) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს "ჯეოპიცასთვის" (ს/კ №404467055) იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 4800 ლარით, როგორც აღნიშნული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყის საპრივატიზებო საფასურად განხილული თანხის (44000 ლარის) არანაკლები 5 %.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი